

მანანა კვატაია

Manana Kvataia

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შინაგანი ემიგრაცია –
ლიტერატურული დისკურსის პარადიგმები¹

Inner Emigration – Paradigms of Literary Discourse

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10024>

In certain historical periods, under specific political and social conditions, writers and artists may be compelled to alter their lifestyles, distance themselves from the state, and withdraw from public life. Such resistance frequently represents a response to a dominant ideology they find unacceptable. This condition, often referred to as inner emigration, typically emerges in the presence of authoritarian or totalitarian regimes. When nonconformist thinkers face such repressive environments, they may experience psychological or emotional distress, prompting a retreat inward in order to preserve personal integrity, authenticity, and intellectual freedom. Paradoxically, it is during such periods of enforced isolation that many creators produced some of their most valuable works.

The paper notes that the term *inner emigration* has changed meaning depending on the historical context. The concept originated in 1830s France and is associated with the writer Delphine de Girardin (Vicomte de Lonnes). From the 1920s onward, the term began to describe representatives of the progressive intelligentsia in the Soviet Union—particularly writers who opposed the policies of the ruling regime. The paper emphasizes that the fragmentation of the monolithic Soviet literary space began relatively early in Georgian literature, signaling a cultural shift toward Western literary traditions. While some independent-minded writers and artists were forced into exile under the constraints of Bolshevik cultural policy, many others chose the path of inner emigration rather than compromise with the authorities. Such intellectuals rejected the restrictive norms imposed by official ideology and instead explored new horizons of thought, producing works

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული N FR-23-8132 საგრანტო პროექტის – პოსტბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა (1956-1991) - ფარგლებში.

intended for future generations and unbound by the political demands of their time. Many of these works remained unpublished during their authors' lifetimes due to censorship and political repression.

The study discusses Notes, Personal Letters (vol. 4) by the writer and critic Otia Pachkoria, a victim of communist persecution, published in 2015 by the Giorgi Leonidze Museum of Georgian Literature. This volume contains original, often laconic reflections on literary and philosophical issues, illuminating creative phenomena in both Georgian and world literature. Pachkoria's observations are noteworthy for their intellectual independence and absence of ideological bias.

The paper also examines Geronti Kikodze's Modern Notes, a documentary prose work that chronicles key events in Georgia over the course of roughly forty years – from the restoration of Georgian independence to the death of Stalin. The text remained unpublished during the author's lifetime and first reached readers only in 1985, with a subsequent edition issued in 2003. Kikodze offers a sober and objective analysis of one of the most difficult periods in twentieth-century Georgian history.

In 2015, the Museum of Literature published for the first time the complete text of Akaki Beliashvili's documentary narrative *To America via Paris*, which records the author's impressions of his 1960 journey to France and the United States. Beliashvili introduces readers to the landscapes, social environments, cultural achievements, and daily life of the countries he visited, as well as to Georgian émigré communities living abroad.

As the article argues, many works created by talented and professional authors under conditions of internal emigration and enforced distancing from an unacceptable reality best capture the intellectual and moral atmosphere of a difficult era. At the same time, these texts testify to the civic and creative heroism of their authors.

საკვანძო სიტყვები: შინაგანი ემიგრაცია, ნონკონფორმისტი ინტელექტუალები, ქართული ლიტერატურული დისკურსი

Keywords: Inner emigration, nonconformist intellectuals, Georgian Literary Discourse

არსებობს ეპოქა და გარემოებები, რომელთა დროს შემოქმედი იძულებულია, შეცვალოს ცხოვრების სტილი, სახელმწიფოსაგან დისტანცირდეს და განუდგეს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესებს. არსებულ სისტემასთან კონფრონტაცია, ძირითადად, მის მიერ გაბატონებული იდეოლოგიის მიუღებლობით არის განპირობებული. ამგვარ მდგომარეობას *შინაგან ემიგრაციას* უწოდებენ და მიუთითებენ, რომ ის მეტაფორაა ანომიისა, რომელიც, თავის მხრივ, პიროვნების არასტაბილური მდგომარეობა გახლავთ, სტანდარტებისა და ღირებულებათა რღვევით რომ არის გამოწვეული.

თეორეტიკოსების მოსაზრებით, *შინაგანი ემიგრაციისაკენ* შემოქმედს უმთავრესად ავტორიტარული ან ტოტალიტარული რეჟიმის არსებობა უბიძგებს. ჰანა არენდტის (1906-1975) დეფინიციით, ტოტალიტარიზმი ტოტალური დამორჩილების სისტემაა, რომელიც ანეიტრალებს და უფუნქციოს ხდის პოლიტიკურ სივრცეს, ადამიანს კი სრული უსაზრისობისათვის სწირავს. იგი ადამიანს აიძულებს, შეეგუოს რეალობას, სადაც სამყაროს სისტემური და სისტემატური ნგრევა გაბატონობს. ის ადამიანთა აბსოლუტური კონტროლისა და დამორჩილების პოლიტიკური სისტემაა და, ამავე დროს, ყოფიერებისა და ადამიანის ეგზისტენციის უმთავრესი ფუნდამენტის – სიცოცხლის განადგურების სისტემა და რეჟიმი (იხ. ბრეგამე, 2020).

ტოტალიტარული ლიდერის უმთავრესი მარკერი მისი *მუდმივი შეუმცდარობაა*: „*მან არასოდეს უნდა აღიაროს შეცდომა*“ (არენდტი). ამგვარი ავტორიტარი მმართველებისა და მოძალადე რეჟიმების გარემოცვაში ნონკონფორმისტი მოაზროვნე ირჩევს შინაგანი ემიგრანტის სტატუსს, სახელმწიფოსთან თუ გაბატონებულ იდეოლოგიასთან კონფრონტაციას. ამ დროს ადამიანები თავიანთი სინდისის, ჭეშმარიტი ეგოს, რეფლექსირების თავისუფლების გადასარჩენად საკუთარ თავში იკეტებიან და ამით ფსიქიკურ თუ ემოციურ სტაბილურობას ინაჩუნებენ. მრავალი ღირებული ქმნილება სწორედ სახელმწიფოსაგან ამგვარი დისტანცირების ჟამს შექმნილა.

ტერმინი *შინაგანი ემიგრაცია* ისტორიულ მოვლენათა კონტექსტის კვალდაკვალ იცვლებოდა. იგი პირველად გამოიყენა ფრანგმა მწერალმა ქალმა, ჰიუგოსა და ბალზაკის მეგობარმა, დელფინა დე ჟირარდენმა (ვიკონტ დე ლონემ). 1830-იანი წლების საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ბურბონების დინასტია ხელახლა დაამხო, დელფინას მეუღლემ ემილ დე ჟირარდენმა ახალი მიმართულების გაზეთი La Presse დააარსა, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი,

5 ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა. ამ გაზეთში დაიბეჭდა დელფინა დე ჟირარდენის ერთ-ერთი ნარკვევი სათაურით „შინაგანი ემიგრაცია“. ოციოდე წლის შემდეგ გერცენმა მსგავსი, *შინაგანი გამგზავრების* იდეა წამოაყენა. ლევ ტროცკი კი წიგნში „ლიტერატურა და რევოლუცია“ (1923) წერდა: „საზღვარგარეთ ემიგრაციის გარდა, არსებობს შინაგანიც (ემიგრაცია) და გზა მისკენ – ეს რევოლუციისადმი გაუცხოება“.

1920-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში შინაგანი ემიგრანტები გახდნენ პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ არსებული ძალადობრივი რეჟიმის პოლიტიკას (ანა ახმატოვა, ბორის პასტერნაკი, მიხაილ ბულგაკოვი, სერგეი ესენინი და მრავალი სხვა). ტერმინ *შინაგან ემიგრაციას* იყენებდნენ მესამე რაიხის პერიოდის შემოქმედთა მიმართ. გერმანელ სკულპტორს, ერნსტ ბარლახს თავის ჩანაწერში (1935) აღუნიშნავს, რომ „ნაციისტების დევნამ ის აიძულა, საკუთარ ქვეყანაში ემიგრანტი გამხდარიყო“. რომანში „ვულკანი“ (1939) კლაუს მანს „შინაგან ემიგრანტებად“ მიუჩნევია ყველა გერმანელი მწერალი, რომლებიც ნაცისტური რეჟიმის პირობებში გერმანიაში დარჩნენ, მაგრამ ფაშისტური იდეოლოგია არ მიიღეს.

შინაგან ემიგრაციას თეორეტიკოსები რთულ სოციოკულტურულ ფენომენად მიიჩნევენ. მის მახასიათებლებზე მსჯელობისას მიუთითებენ, რომ ამგვარი ემიგრირება ფიზიკურად საზღვარგარეთ გასვლა არ არის, ის არსებული სინამდვილისაგან შემოქმედის მენტალური და ფიზიკური დისტანცირების მდგომარეობა გახლავთ.

ანალიტიკოსების დაკვირვებით, შინაგანი ემიგრაცია სხვადასხვაგვარად ვლინდება: ერთ შემთხვევაში, ოფიციალური პოლიტიკისაგან დისტანცირებული ადამიანი უპირატესად პირად ცხოვრებაზე აქცენტირდება, არ იყენებს პროპაგანდას, არ ერთვება პოლიტიკურ დისკუსიებში, სხვა შემთხვევაში, ქმნის საკუთარი ინტერესების სამყაროს, გადაანაცვლებს ყურადღების ფოკუსს და ა.შ. *შინაგანი ემიგრაცია* ბუნებრივია ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის პირობებში, როდესაც სხვაგვარად აზროვნება აკრძალული და სახიფათოა, მაგრამ ის სხვა ვითარებაშიც არსებობს. კერძოდ, როდესაც ადამიანი არ ეთანხმება არსებულ სახელმწიფოებრივ წესრიგს ან პოლიტიკას და სხვ. ასე მაგალითად, ქართველი მწერალი კოტე ჯანდიერი, რომელიც ღრმად შემფოთებულია ჩვენი თანამედროვე საზოგადოების თვითშეგნების და კულტურის დაბალი დონით, ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ

აცხადებს: „ჩემთვის გამოსავალი შინაგანი ემიგრაციაა. სადაც უკულტურობაა, იქ ჩემი საშობლო არ არის“.

„ლიტერატურა წარმოადგენს კონცეპტუალურ რეფლექსიას რეალურად მიმდინარე პროცესებზე“, – წერს მკვლევარი ირმა რატიანი და მიუთითებს ლიტერატურის თანდაყოლილ სწრაფვაზე ინტელექტუალური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ. მისი დაკვირვებით, საგულისხმოა წინააღმდეგობა, რომელიც ტოტალიტარიზმის პირობებში მხატვრულ ტექსტსა და რეალურ კონტექსტს შორის არსებობს: ხშირად ტექსტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ინტელექტუალურ ტერორზე ლიტერატურული პროცესის რეაქციის გამოვლენა“. ირმა რატიანის შეფასებით, „კომუნისტური დემოკრატიის“ პირობებში წარმოიქმნა კულტურის ორი მოდელი: ერთმა „გადაირჩინა თავი, მაგრამ დაკარგა ღირსება და, მასთან ერთად, ღირებულება, მეორე მხრივ – ელიტური კულტურა, რომელმაც „მაღალი კულტურის“ კვარცხლბეკზე დგომა არჩია, თუმცადა, საბოლოოდ ჩაიკეტა საკუთარ თავში“ (რატიანი, 2018, გვ. 138).

თეორეტიკოსები იმასაც მიუთითებენ, რომ გასული საუკუნის ლიტერატურული პროცესების ანალიზისა და საბჭოთა რეჟიმის მიერ თავსმოხვეული მრავალი მანკიერი კლიშეს რეტრანსლაციის თუ ინტერპრეტაციისას საჭიროა, გადავლახოთ ტრავმული ეფექტი და გავითვალისწინოთ, რომ „ტოტალიტარული რეჟიმების შეფასება მტკივნეულია, რადგან იგი უშუალოდ ეხება ადამიანთა ბედს“. ამავე დროს, ამ პროცესების დროული, ობიექტური შეფასება აუცილებელია, რადგან არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ „ყველაფერი, განსხვავებული დეკორაციებითა და კოსტიუმებით, კვლავ განმეორდეს“ (კუპრეიშვილი, 2013, გვ. 327).

ნონა კუპრეიშვილის დაკვირვებით, საბჭოთა ლიტერატურული ველის მონოლითურობის რღვევა ქართულ მწერლობაში ადრევე დაიწყო. ის „დასავლურ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ და ესთეტიკურ ნოვაციათა ათვისების, კრიტიკის ლიტერატურული პროცესისაკენ შემობრუნების ნიშნით განვითარდა“ (კუპრეიშვილი, 2013, გვ. 390). გასულ საუკუნეში, ბოლშევიკური „კულტურის“ დიქტატის პირობებში, თავისუფალი აზროვნების ხელოვანთა ნაწილი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა, ბევრმა მათგანმა კი შინაგანი ემიგრანტის მდგომარეობა ამჯობინა. მრავალი ხელოვანი ფიზიკურად შეეწირა ბოლშევიკურ ტერორს, რომელიც ოფიციალის მიერ იყო ნებადართული იმ „ამჟამად მტრების“ მიმართ, რომლებიც „უტიფრად უარს ამბობენ, გას-

ცენ შეთქმულები, თვეობით არ იძლევიან ჩვენებებს, ცდილობენ, დაამუხრუჭონ თავისუფლებაში დარჩენილ შეთქმულთა გამოაშკარავება“ (კვერენჩილაძე, 2017, გვ. 5) და ა.შ.

1931 წლის 6 მარტს გრიგოლ რობაქიძე ოჯახთან ერთად საქართველოდან ფარულად გაემგზავრა და სამშობლოში აღარასოდეს დაბრუნებულა. ამავე წლის 7 მაისით დათარიღებულ პირად წერილში ის თავის მეგობარს, ავსტრიელ მწერალ შტეფან ცვაიგს უცხოეთში თავისი ფიზიკური ემიგრირების მიზეზებს უხსნის: „რატომ მინდოდა ასე სასწრაფოდ ევროპაში გამომგზავრება? არა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირიდან „გაქცევა“ მსურდა... საქართველოში მე ვარ ცნობილი და პატივსაცემი ადამიანი: ჩემი სიტყვა მახვილია. მიწისა და ფესვების გარეშე ცხოვრება არ შემძლია (არც შემოქმედება). მაგრამ ახლა საბჭოთა კავშირში ითხოვენ მატერიალისტურ და მარქსისტულ შემოქმედებას – გვაიძულებენ“. იმავე ეპისტოლეში ქართველი მწერალი საუბრობს საკუთარ მსოფლმხედველობაზე, სამყაროს ხედვის, შემოქმედებითი მანერის ინდივიდუალობაზე, რომლის დათმობა მას არ ხელეწიფება: „მე არც მატერიალისტი ვარ და არც მარქსისტი. ჩემთვის ძალიან რთულია ემპირიულ-რეალისტურად წერა... როგორ შევძლო მე ეს ჩემი ვიზიონერულ-რეალისტური ხედვით?.. მათ კარგად იციან, რომ იდეოლოგიურად მათთვის მიუღებელი ვარ“ (რობაქიძე, 1912, გვ. 174-175).

გრიგოლ რობაქიძის გულისტკივილი გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რა ხდებოდა იმავე პერიოდის საქართველოს ლიტერატურულ სივრცეში. მაგალითისათვის შეიძლება დავიმოწმოთ საბჭოთა ოფიციალის მიერ „აღიარებული“ ოდიოზური წიგნი „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“ (1931), რომელიც პროლეტარული მწერლობის „კლასიკოსის“, ფრიდონ ნაროუშვილის შემოქმედებას აცნობს მკითხველს. მის „პოეტურ“ მემკვიდრეობას უძღვის ე. ასტვაცატუროვის (ერემია ქარელიშვილის?) „წინასიტყვაობის მაგიერ“, რომელშიც ახალი დროის თეორეტიკოსი პირდაპირ მიუთითებს: „ეხლა პრ.(ოლეთარული) ლიტერატურის ჰეგემონიისათვის გამმაფრებულ ბრძოლის პერიოდში ვიმყოფებით. ჰეგემონიის მოპოვება ნიშნავს ემოციურ, იდეურ და ფორმალურ სრულყოფას“ (ნაროუშვილი, 1931, გვ. 15).

ამგვარი „სრულყოფის“ ნიმუშად ე. ასტვაცატუროვს ფრიდონ ნაროუშვილის შემოქმედება მიაჩნია, ავტორისა, რომელიც თავის ლექსებში ღიად აცხადებს: „კლასი – ლენინიზმ-შეთვისებული/ არის ოსტატი და დიქტატორი“... „გზა ბოლშევიკის – შენი გზა არის“... „შეტევა მარჯვნივ, / შეტევა „მარცხნივ“, / ბრძოლა აშკარა! ბრძოლა ფარული! /

მგლების ყმუილმა ვერ შეაშინოს/ პარტიის ხაზი გენერალური!“ და ა.შ. სანდრო შანშიაშვილის პოეზიის დახასიათებისას იგივე კრიტიკოსი საყვედურობს პოეტს, რადგან ის „*მსოფლმხედველობრივად ძალიან შორს დგას პროლეტარიატისაგან*“ („მნათობი“, 1936, გვ. 160). სიმპტომურია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილი სტრიქონები: „*მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე/ არ მიმაჩნია ადამიანად*“ და მრავალი სხვა იმდროინდელი „შედეგრი“.

პარტიის გენერალური ხაზის შესატყვისი შეფასებები კრიტიკის სფეროშიც ბატონობდა. გასული საუკუნის ქართული სალიტერატურო სივრცის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი და შემფასებელი ბესარიონ ჟღენტი ამგვარად მედიტირებდა: „*მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სულსა და გულს წარმოადგენს მწერლობის პარტიულობის, იდეურობისა და ხალხურობის მოძღვრება, რომელიც ვ.ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა კლასიკურ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა*“ (ჟღენტი, 1976, გვ. 67). ამ ნაშრომში ვლადიმერ ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდა, რომ ლიტერატურა პარტიული უნდა იყოს, ლიტერატურის საქმე კი – საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი. აკაკი ბაქრაძის განმარტებით, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი აიძულებდა მწერლობას, ადამიანისათვის შეეხედა „*აკვიატებული სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინის შესაბამისად*“. თეორეტიკოსის შეფასებით, „*ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ, მწერალი კონკრეტულად, უნაყოფო გახდა მისი შრომა*“ (ბაქრაძე, 2004, გვ. 74). იმავე აკაკი ბაქრაძის ინტენციით, „*როცა აზროვნება აკრძალულია, დროის, ეპოქის სულის ამოსაცნობად უნიჭო მწერალი უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე ნიჭიერი*“ (ბაქრაძე, 2004, გვ. 43).

მმართველი პარტიის გენერალური ხაზის ერთგულებას მწერლებისაგან შესაბამისი სტრუქტურები შემდეგ პერიოდშიც მკაცრად ითხოვდნენ, რასაც უამრავი დოკუმენტური წყაროც ადასტურებს (მათი ერთი ნაწილი ახლახან ქუთაისის ცენტრალურ არქივში მოვიპოვეთ). დავიმოწმებთ ორიოდ მათგანს: 1973 წლის 17 თებერვალს ქუთაისის მწერალთა კავშირის ბიუროზე მოისმინეს საკითხი „*მასობრივ ლიტერატურულ ღონისძიებებში მწერალთა მონაწილეობის შესახებ*“ (ქუთაისის ცენტრალურ არქივი, ფ. 268, აღწ. 1, შესანახი ერთეული 130, ფ.3). სხდომაზე ხაზგასმით აღუნიშნავთ, რომ „*მწერალთა ერთი ნაწილი თავს არიდებს ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობას, ხოლო ზოგიერთი მწერალი საღამოზე კითხულობს თემატუ-*

რად შეუფერებელ ლექსებს“. სხვა, 1982 წლის 24 მაისის ბიუროს სხდომის ოქმში მწერლებს ავალბენ, „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცხოვრებაში ფესვგადგმული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, შექმნან ისეთი ნაწარმოებნი, სადაც მხილებული იქნებიან ძველი და ახალი ანტიპოდები, ცხოვრების ხორცმეტები, მუქთახორები, დაუპირისპირონ მათ მოწინავე ადამიანთა ღირსეული სახეები, მისაბადი საბჭოთა პიროვნებები“ (ქუთაისის ცენტრალური არქივი, საქმე 308, ფ.6). ჩვენს სიძველეთსაცავებში უამრავი მსგავსი პათოსის დოკუმენტი ინახება, რომლებიც ნათელს ფენს მწერლობაზე პარტიული დირექტივებით ძალადობის ფენომენს.

იყვნენ მწერლები და კრიტიკოსები, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ, გაეთვალისწინებინათ მსგავსი მოწოდებები, დამორჩილებოდნენ პარტიის გენერალური ხაზის მოთხოვნებს და არსებული რეალობისათვის, თუ უნიჭო ავტორების მდარე „ნაწარმოებებისათვის“ ხოტბა შეესხათ. ასე მაგალითად, სსრ კავშირის შექმნის 50 წლის საიუბილეოდ კრიტიკოსი ს. არველაძე პათეტიკურად აჯამებს კომუნისტური რეჟიმის მიღწევებს: „ნახევარსაუკუნოვანი გზა, რომელიც საბჭოთა ხალხმა გიგანტური ტიტანური შრომითა და ბრძოლით განვლო, კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდ მაგისტრალად იქცა“; „ვრცელი სარბიელი მიეცა თავისუფალ შემოქმედებას, აზრსა და ფანტაზიას“ (არველაძე, 1973, გვ. 3) და ა.შ.

ამავე დროს, უკომპრომისო, ნონკომფორმისტი მწერლები და თეორეტიკოსები თავიანთ რეფლექსიებში წინააღმდეგობრივი ეპოქის ჭეშმარიტ სულს ასახავდნენ. „ტოტალიტარიზმის ჩიხიდან გამოსავალს მხოლოდ ნონკონფორმისტები პოულობენ“ (ირმა რატიანი). ამგვარ ინტელექტუალებს არ აკმაყოფილებთ ოფიციაოზის მიერ შემოსაზღვრული, აზროვნების შეზღუდული „სტანდარტები“, ახალ ინტელექტუალურ სივრცეებს ჭვრეტენ და პარტიული კონიუნქტურისაგან თავისუფალ, მომავალი თაობებისათვის განკუთვნილ ღირებულ ტექსტებს ქმნიან.

საბჭოთა ცენზურისა და ჭეშმარიტ შემოქმედთა ურთიერთდაპირისპირებაზე მსჯელობისას მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე წერს, რომ, ერთი მხრივ, თავისას ცდილობდა „ცენზურა – როგორც მთავარი ლიტერატურული კომიტეტი. ცენზურა – ჩასახლებული რედაქტორებშიც, დირექტორებშიც, რედაქციებისა და გამომცემლობის მუშაკებშიც. ცენზურა – შეჭრილი და მოკალათებული მწერალთა სულში“, მეორე მხრივ, ჭეშმარიტი მწერლობა „მაინც გაიტანდა თავი-

სას და შეინარჩუნებდა მრთელად დედოძარღვს ლიტერატურისა, თავისუფლებისა და გაუტეხლობა-დაუმორჩილებლობისა“ (ჩხეიძე, 2024, გვ. 7). ბევრმა ნიჭიერმა შემოქმედმა ტოტალიტარული რეჟიმისაგან განდგომის, „შინაგანი ემიგრაციის“ პირობებში შექმნა ღირებული თხზულებები, რომლებიც ავტორების სიცოცხლეში ვერ გამოქვეყნდებოდა. ქვემოთ რამდენიმე წიგნზე შევჩერდებით, რომელთა პუბლიკაცია მხოლოდ ამ ბოლო დროს გახდა შესაძლებელი.

ოტია პაჭკორია

სასტიკ რეპრესიებგამოვლილი მწერალი და კრიტიკოსი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ნონკონფორმისტ მოაზროვნეთაგან გამორჩეული გახლდათ. მან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, 1946 წელს შექმნა ლიტერატურული სალონი და გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „საქართველოს სამრეკლო“. ამის გამო ანტისაბჭოური საქმიანობის ბრალდებით ის მეგობრებთან ერთად დააპატიმრეს და მიუსაჯეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით (იხ. გიორგაშვილი, 2019, გვ.173). სრულიად ახალგაზრდა ოტია პაჭკორია გივი მაღულარიასთან ერთად კოლიმისა და ჯეზუაზანის ბანაკებში იხდიდა სასჯელს. 1956 წელს რეჟიმის ტუსადები გაამართლეს, თუმცა ისინი საქართველოში დაბრუნებას კიდევ ორი წელი ელოდნენ.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ახალგაზრდა კრიტიკოსი „ლიტერატურულ წერილებში“ ჯერ კიდევ 1969 წელს აცხადებდა: „ისე წერა, როგორც ვწერდით, არ შეიძლება. საჭიროა ახალი ფორმები და ასეთი ფორმები არსებობს“ (პაჭკორია, 1969, გვ. 8). 2015 წელს საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა ოტია პაჭკორიას ნაწერების ოთხი ტომი გამოსცა, მათ შორის, „ჩანაწერები, პირადი წერილები“ (ტ. 4), რომელსაც უძღვის თამაზ ჩხენკელის წერილი „სვირინგი IWERIA“. ვფიქრობთ, ეს ჩანაწერები ოტია პაჭკორიას „შინაგანი ემიგრაციის“ პერიოდებს ასახავს და დღეს ისინი განსაკუთრებით ღირებულია.

წიგნში გადმოცემულია თეორეტიკოსის ორიგინალური, ხშირად ლაკონური რეფლექსიები სხვადასხვა ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ საკითხზე, გამოკვეთილია ქართველი და უცხოელი მწერლების შემოქმედებითი ფენომენების აპექტები. ამასთან, კრიტიკოსის მოსაზრებანი ყოველგვარი კონიუნქტურისაგან თავისუფალია. ოტია პაჭკორია მსჯელობს კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებზე, გამო-

ყოფს მწერლის პერსონაჟების არსებით მახასიათებლებს. თარაშ ემხვარს ის „ინტელიგენტსა და ფეოდალ დილექტანტს“ უწოდებს, კონსტანტინე სავარსამიძეს – „ქართველ ევროპელს“ და მიუთითებს: „ასეთი შერწყმა თავისუფლად გამოხატავს ხასიათის ორმაგ ეკლექტიკურ მეთოდს“. დამაფიქრებელია და დღესაც აქტუალურად ჟღერს „ჩანაწერების“ ის ადგილი, სადაც ოტია პაჭკორია ახასიათებს მისი თანამედროვეობის status quo-ს: „კაცობრიობამ თავისი სულიერი განვითარების მხოლოდ სიყმაწვილეს თუ მიაღწია და, სამწუხაროა, რომ იგი ამ ასაკში მოუსწრაფავს სიცოცხლეს საკუთარ თავს“ (პაჭკორია, 2015, გვ. 42).

ნონკონფორმისტი კრიტიკოსი საინტერესოდ მსჯელობს ნოდარ დუმბაძის ფენომენზე, მის პიროვნულ თუ შემოქმედებით ინდივიდუალობაზე: „წარმოუდგენელია დღევანდელი ლიტერატურა ნოდარ დუმბაძის კეთილი გულის, ნათელი ღიმილის გარეშე. ეს ჩვენი ლიტერატურის ხასიათს ქმნის“ (პაჭკორია, 2015, გვ. 47).

„ჩანაწერებში“ მოთხრობილია სერვანტესზე, სტენდალზე, პრუსტზე, განიხილულია აკაკი ბაქრაძის იმ დროს ძალზე პოპულარული „მითოლოგიურ ენგადი“, წიგნი, რომელზეც თაობები აღიზარდნენ, ავტორი მსჯელობს ქართული მითოლოგიის ღმერთზე, იგრიზე, რომელიც სიცოცხლის საწყისის ღმერთია, მესეფეებზე - იგრის მოციქულებზე, მთვარეზე, რომელზეც, წარმართი ქართველის წარმოდგენით, ადამიანის ბედი თუ უბედობა იყო დამოკიდებული...

თამაზ ჩხენკელის „მშვენიერი მძლევარის“ შეფასებისას ოტია პაჭკორია იხსენებს მითის კონცეპტის ვ. ვუნდტისეულ დეფინიციას, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარი რეცეფციით ავსებს: „მითი თავისუფალი გამოწვანია არ არის. იგი დაწერილი ფორმით მოცემული სურათია და ეს სურათი ადამიანისათვის გაშინაგანებული სამყაროს მოდელს ასახავს“. კრიტიკოსი ცდილობს, ჩასწვდეს ნოდარ წულეისკირის შემოქმედების ძირითად სქემას და ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებს მიმართავს: აქ არის ნანა – მზის ქალღმერთის, ბარბოლის ქურუმი, მთვარე, ადამიანების ბოროტი, საბედისწერო ღმერთი, ცია, ნანას ჰიპოსტასი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, კარლო კალაძესა და ალიო მირცხულავას ოტია პაჭკორია კრიტიკულად აფასებს, მათ „პროლეტარულ მწერლებად“ მოიხსენიებს და შენიშნავს: ისინი „გადაიქცნენ იმად, რადაც არ უნდა გადაქცეულიყვნენ – მესაკუთრეებად, მომხვეჭელებად... მათ კულაკური ინსტინქტები განუვითარდათ“ (პაჭკორია, 2015, გვ. 74).

„ჩანაწერებში“ ავტორი ერთმანეთს ადარებს გურამ გეგეშიძესა და გურამ რჩეულიშვილს და მეოცე საუკუნის ქართულ პროზის პრობლემატიკაზე მსჯელობს. კრიტიკოსი „ცოდვილს“ „კარგ რომანს“ უწოდებს, მას მოსწონს გურამ გეგეშიძის „განწმენდისა და სულიერი სისუფთავისაკენ ლტოლვა“. ჭაბუა ამირეჯიბი კრიტიკოსისათვის „საოცარი კაცია, იგი ნამდვილი ქრიატიანია, მოყვასი, ვაჟკაცი“. პაჭკორიას დასკვნით, „თანამედროვე ლიტერატურისადმი დამოკიდებულებაში წამყვანი ადგილი დაიკავა განსჯამ... აუცილებელია ლიტერატურისადმი ემოციური კავშირის აღდგენა“ (პაჭკორია, 2015, გვ. 106).

კრიტიკოსი კონსტანტინე გამსახურდიას პოეტურ პროზას მანერულად მიიჩნევს, თუმცა აღიარებს, რომ „მას ბუნებრიობის ბედნიერი თავისუფლება მაინც ახლავს“. „ჩანაწერებში“ თეორეტიკოსი მსჯელობს გამსახურდიას ესეებზე, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარადელზე“, სადაც, მისი თქმით, „რიტმი თხრობისა იცვლება ამბის შინაგან რიტმთან ერთად“. „გივი, ვოვა, გურამი, ნოდარი“ – ქართველ ლიტერატორთა ეს სახელები პაჭკორიასათვის განსაკუთრებით ძვირფასია. „მე ვცდილობ, მათ მიღმა ქართული პროზის ხვალისდელი დღე დავინახო“, – აცხადებს კრიტიკოსი. მისი დაკვირვებით, „თაობას თაობათა მონაცვლეობა ქმნის“. „ჩანაწერების“ წიგნში ავტორი სკეპტიკურად აცხადებს, რომ მას ნაკლებად სჯერა „დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების რეალური ღირებულებისა“. ოტია პაჭკორიას არ აკმაყოფილებს მისი თანამედროვე ქართული პროზის განვითარების დონე, ის, მისი აზრით, „მიუხედავად მისი აღმავლობის ილუზიისა, მხოლოდ „ვარიაციას თემაზე“. კრიტიკოსს სურს, შეიქმნას ის მოდელი, რომელიც „ხვალ სულ სხვა, გავრცელებული, სრულქმნილი სახით უნდა მოგვევლინოს“.

საგულისხმოა ოტია პაჭკორიას დაკვირვებანი სხვადასხვა ეპოქის მსოფლიო კლასიკოსთა ფენომენისა თუ შემოქმედებითი ინდივიდუალობის ირგვლივ. ჰომეროსი მისთვის დიდია არა იმის გამო, რომ მან დააგროვა მითები და გადმოცემები, არამედ იმიტომ, რომ „შექმნა ბერძნული სამყაროს სტრუქტურა“. გოეთე კრიტიკოსისათვის ღირებულია არა ვერტერით, არამედ – ფაუსტით. პრუსტი მისთვის მწვერვალია, რომლის ზევით, „უფრო სწორად, სიღრმეში, ჩვდომა წარმოუდგენელია“. „ჩანაწერებში“ პაჭკორია შენიშნავს, რომ კვლავ გადაიკითხა ეგზიუპერის „პაწია უფლისწული“. „ეს თრობაა, საოცარი უცნაური ზღაპარი, რომელთან შედარებითაც უაილდიც კი არაფრად მეჩვენება. მე

დიდი ხანია, არაფერი წამიკითხავს ასეთი ფაქიზი და სინათლით სავსე“ (პაჭკორია, 2015, გვ. 186).

ოტია პაჭკორია კრიტიკულად აფასებს სოლჟენიცინის შემოქმედებას. მისი შეფასებით, „იგი არ არის დიდი მწერალი და არც შეიძლება იყოს, რადგან სული და ვნებები არა აქვს დიდი მწერლისა... სოლჟენიცინი პოლიტიკური ავანტურისტია და ლიტერატურას მხოლოდ მურისგების ფუნქცია შეუნარჩუნა“ (პაჭკორია, 2015, გვ. 151).

2015 წელს ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული „ჩანაწერები“ ღრმად ერუდირებული თეორეტიკოსის აზრებია, რომლებიც ხშირად უფრო ვრცელი გამოკვლევების შესაქმნელად იყო გამიზნული. ოტია პაჭკორიას თქმით, ის თავის ჩანაწერებს თარიღებს არ უსვამს: „ვერე აჭრით, მაგრამ მე თავად ვიცი ამ ერთიანი განწყობილებების ქრონოლოგია“ (პაჭკორია, 2015, გვ. 138).

გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“ – რთული ეპოქის დოკუმენტური მატრიანე

ეს ტექსტი ავტორის სიცოცხლეში ვერ დაიბეჭდებოდა. ის მკითხველმა პირველად 1985 წელს, მეორედ – 2003 წელს იხილა. მასში ქართული ინტელექტუალური აზროვნების მეტრმა, გერონტი ქიქოძემ ობიექტურად, პირუთვნელად შეაფასა მეოცე საუკუნის საქართველოს ურთულესი, დაახლოებით ორმოცწლიანი პერიოდის მოვლენები – ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან სტალინის აღსასრულამდე. ჩანაწერების ბოლოს მითითებულია მისი დასრულების თარიღი: 1954 წლის 12 მარტი.

გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერებს“ დოკუმენტური პროზის ჟანრს მიაკუთვნებენ. თამაზ ვასაძის შენიშვნით, ეს ძვირფასი ტექსტი მხოლოდ მემუარები არ არის, რადგან ავტორის მიზანი მისივე ეპოქის ანალიზი იყო და არა საკუთარი ცხოვრების გადმოცემა. წიგნში ქიქოძე მოვლენათა ურთიერთსაპირისპირო მხარეებს ხედავს, ის „სინამდვილისადმი რეალისტური ერთგულებით გვიზიარებს, რისი მოწმეც იყო და თავის დამოკიდებულებას თხრობის საგნისადმი“ (ვასაძე, 2010, გვ. 209).

დოკუმენტური თხზულების პირველივე ფურცლებიდან ვეცნობით ნოე ჟორდანიას პორტრეტის შტრიხებს, მისი საქმიანობის ასპექტებს. გერონტი ქიქოძე ჟორდანიას „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავარ ხუროთმოძღვარს“ უწოდებს, რომელსაც აღაფ-

როგანებდა განვითარებული ევროპული სახელმწიფოების დემოკრატიული წეს-წყობილება და იმედოვნებდა, რომ მისი სამშობლოც პარლამენტური დემოკრატიზაციის გზით „თანდათან გადავიდოდა სოციალიზმის სამეფოში“.

წიგნში ავტორი იხსენებს და ახასიათებს მეოცე საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს: არჩილ ჯორჯაძეს, გიორგი ლასხიშვილს, სამსონ ფირცხალავს, კიტა აბაშიძეს, ილია აგლაძეს, პოლიტიკოსებს: ნოე რამიშვილს, ნოე ხომერიკს, აკაკი ჩხენკელს, ნიკო ნიკოლაძეს, ზურაბ ავალიშვილს, ირაკლი წერეთელს, კარლო ჩხეიძეს, გრიგოლ ურატაძეს. თხზულებაში მოხსენიებულია „ვისრამიანისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურად მთარგმნელი ოლივერ უორდროპი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნა და სხვა ცნობილი პიროვნებები.

ტექსტში ავტორი მკითხველს მოუთხრობს 1919 წლის 12 მარტის დამოუკიდებლობის კრების შესახებ, რომელზეც საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა გადაწყდა. აქვე შეფასებულია ომი სომხეთთან, რომელიც, ქიქოძის თქმით, ლორეს პროვინციის გამო დაიწყო. გერონტი ქიქოძე იხსენებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მისი მუშაობისა და გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორობის პერიოდს და განმარტავს, თუ რატომ ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

წიგნის ავტორი მოგვითხრობს შულავერის კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელმაც ქართველ ხალხს მანიფესტით „ახარა“, რომ წითელი არმია მის გასათავისუფლებლად მოდიოდა. ამავე დროს, ტექსტში აღნიშნულია, რომ გენერალმა კვინიტაძემ გადაწყვიტა, „მთავარი ბრძოლა თბილისის კარიბჭესთან მიეცა“. ქიქოძე იხსენებს 1921 წლის 24 თებერვლის ღამეს, რომელიც, როგორც ირკვევა, მან, ისევე, როგორც ბევრმა პატრიოტმა, თეთრად გაათენა.

თხზულებაში მოთხრობილია 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ მოვლენებზე, ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის უცხოეთში ემიგრირებაზე. ქიქოძის რეცეფციით, საბოლოო მარცხის მიუხედავად, როგორც არ უნდა შეაფასონ ნოე ჟორდანიას მმართველობის წლები, „უცილობელია, რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობისა და თავისუფლების იდეების აღორძინებას... ქართველობას განუმტკიცდა რწმენა, რომ მას საკუთარი სახელმწიფო შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში“ (ქიქოძე, 2003, გვ. 61).

„თანამედროვის ჩანაწერებში“ ავტორი გვიაშობს, რომ ქვეყნის გასაბჭოებისთანავე საქართველოში თავად იოსებ სტალინი ჩამოვიდა,

მშრომელებს შეხვდა და, მათი ნეგატიური განწყობა რომ შეიგრძნო, რეპრესიების გაძლიერების განკარგულება გასცა. აქვე მოთხრობილია საქართველოს 1924 წლის ტრაგედიაზე, პატრიოტების სასტიკი ხვედრზე, ილია ჭავჭავაძის დისშვილის, გენერალ კოტე აფხაზისა და მისი 23 შეთქმული თანამებრძოლის დახვრეტაზე და სხვა იმდროინდელ საბედისწერო მოვლენებზე. გერონტი ქიქოძე რეალისტურად აფასებს 1924 წლის აჯანყებას. მისი თქმით, მემბოხეებმა „*მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება*“.

გერონტი ქიქოძე ახასიათებს კომუნისტი მაღალჩინოსნების - სერგო ორჯონიკიძის, ლავრენტი ბერიას, იაგოდასა და ეჟოვის საქმიანობას, ჩინოვნიკებისა, რომელთა ბრძანებით მილიონობით ადამიანს ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. ტექსტში მითითებულია, რომ „*სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივდა და იაფფასიანი გახდა*“, 1937 წლის ტერორმა კი „*ერთგვარი სისხლიანი შეჯიბრის ხასიათი მიიღო*“.

თხზულებაში გერონტი ქიქოძე აფასებს კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის წლებს და აღნიშნავს, რომ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით საქართველოში გრანდიოზული ცვლილებები დაიწყო. „*თანამედროვეის ჩანაწერებში*“ შეფასებულია 1950-იანი წლების რეპრესიები, საუბარია მწერალ ლევან გოთუას დაპატიმრებაზე და სხვა მნიშვნელოვან ფაქტებზე.

„*თანამედროვეის ჩანაწერების*“ ბოლო ნაწილი იოსებ სტალინის მმართველობის სუსხიან წლებს ეძღვნება. ქიქოძის შეფასებით, სტალინი იყო „*პოლიტიკური მოღვაწე, ერთნაირად ძლიერი როგორც ნგრევის, ისე შენების საქმეში*“. ამავე დროს, „*მან სრულიად ახალი გზები უჩვენა საბჭოთა კავშირს*“ (ქიქოძე, 2003, გვ. 128). თეორეტიკოსი ცდილობს, ობიექტურად შეაფასოს სტალინის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი. მისი ინტენციით, „*ბოლო დროს სტალინის თვითგანდიდებამ ავადმყოფური და საშიში ხასიათი მიიღო. მან თავი წარმოიდგინა ზეკაცად... გულწრფელად დაიჯერა, რომ უბადლო გენიოსი იყო*“ (ქიქოძე, 2003, გვ. 133). ამავე დროს, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ „*იოსებ სტალინის სიკვდილით დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი საბჭოთა კავშირის ისტორიაში*“.

ავტორი ყველა ლავრენტი ბერიას ხვედრზე, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე, გასამართლებაზე. საგულისხმოა ტექსტის დასასრული, სადაც ქიქოძე წერს, რომ ახალგაზრდობამ გარდაცვლილ სტალინს ცოდვები ერთგვარად მიუტევა და „*შეეცადა, რომანტიკული მა-*

რავანდებით შემოსილი ბელადი მითოსში გადაეყვანა“. თუმცა მალე, ამ თხზულების დაწერიდან ორიოდ წელიწადში, იმავე ახალგაზრდობას წინ 1956 წლის მარტის სისხლიანი ტრაგედია ელოდა, რაზეც თხზულებაში არაფერია ნათქვამი.

გერონტი ქიქოძე 1961 წელს გარდაიცვალა და, ბუნებრივია, მსგავსი შინარსის დოკუმენტური ტექსტის პუბლიკაცია ავტორის სიცოცხლეში სრულიად წამოუდგენელი იყო. „თანამედროვის ჩანაწერები“ ქიქოძის „შინაგანი ემიგრაციის“ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. მისი გამოქვეყნება მომავალი თაობებისათვის იყო განკუთვნილი.

აკაკი ბელიაშვილი. „ამერიკაში პარიზზე გავლით“

ახალი დროის, განსხვავებულ საქართველოში სრულად გამოქვეყნდა დოკუმენტური პროზის კიდევ ერთი საგულისხმო ნიმუში, აკაკი ბელიაშვილის მოგონებების წიგნი „ამერიკაში პარიზზე გავლით“. 1960 წელს მწერალმა ოცნება აიხდინა, საფრანგეთსა და აშშ-ში იმოგზაურა და დატოვა მრავალმხრივ საყურადღებო თხზულება, რომელიც ხელნაწერის სახით მწერლის არქივში, ლიტერატურის მუზეუმში ინახება. ეს ტექსტი, სათაურით „მოგზაურობა ამერიკაში“, ბელიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1964 წელს, შემოკლებულად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა მე-2 ტომში (მასში საფრანგეთში მოგზაურობის ნაწილი და ზოგიერთი სხვა ადგილი მთლიანად ამოღებულია). 2015 წელს ლიტერატურის მუზეუმმა მისი სრული ტექსტი დაბეჭდა. ამასთან, განსხვავებული, დახრილი შრიფტით გამოყო საბჭოთა ცენზურის მიერ დაწუნებული მონაკვეთები. ლიტერატურის მუზეუმის ამ შესანიშნავ გამოცემას უძღვის პროფესორ რუსუდან ნიშნიანის ძის ვრცელი „წინათქმა“.

მოგონებების მიხედვით, საფრანგეთსა და აშშ-ში მოგზაურობისას აკაკი ბელიაშვილმა მოინახულა 1920-იან წლებში უცხოეთში გადახვეწილი ძმა, ლადო ბელიაშვილი, რომელიც პარიზში ცხოვრობდა, მშენებლობაზე მუშაობდა და თან ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. აქვე მწერალი შეხვდა ყოფილ მრეწველს, მიხეილ ჩუბინიძეს, ვიკტორ ნოზაძის ძმას, გიორგი ნოზაძეს და მის მეუღლეს. იმავე მოგონებების მიხედვით, აშშ-ში მწერალმა ინახულა ახალგაზრდობის მეგობარი და ცოლისძმა, მწერალი გიორგი გამყრელიძე, პოეტი გივი კობახიძე, მხატვარი სიმონ ქვარიანი, მწერალი გიორგი პაპაშვილი (მეუღლესთან ერთად).

ავტორი აღწერს თავისი მოგზაურობის დეტალებს მოსკოვიდან პარიზამდე, მკითხველს აცნობს საფრანგეთის დედაქალაქსა და მის ღირსშესანიშნაობებს, შთაბეჭდილებად აღწერს ემიგრანტ მმასთან შეხვედრას, რემბრანტის „უძღვები შვილის დაბრუნებას“ რომ ახსენებს. საფრანგეთში აკაკი ბელიაშვილი ხვდება ქართველ ემიგრანტებს და გულისტკივილით აღნიშნავს: *„სამშობლოზე დარდი, ვიცი, არცერთ მათგანს მოსვენებას არ აძლევს... წლობით, ათეულ წლობით განიცდიან ამ ტკივილებს, რომელიც ყველაზე უძიმესი ავადმყოფობის, ნოსტალოგიის სახელით არის ცნობილი... თითქმის ყოველი მათგანი ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე“* (ბელიაშვილი, 2015, გვ. 36).

მწერალზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ნაპოლეონის საფლავი. აკაკი ბელიაშვილი ბონაპარტეს იბერიული ტომის შთამომავლად მიიჩნევს, რომელმაც *„საფრანგეთი დიდების მწვერვალზე აყვანა“*. თხზულების ავტორი გვაცნობს ვერსალს, აღწერს სასახლის მოედანზე მდგარ მეფე-მზის, ლუი XIV-ის ძეგლს. მისი აღქმით, *„იგი ისევე ჰგავს მზეს, როგორც საზამთრო ლოშს“*. მოგონებებში მოხსენიებულია სახელგანთქმული ბულონის ტყე, ლათინური კვარტალი – სორბონის უნივერსიტეტის უბანი, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები ცხოვრობენ, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს ნოტრ-დამი. *„თქვენ ამ ტაძარში იგრძნობთ, რამდენად შესძლო ადამიანმა, გამოესახა ღვთიური სიდიადე“* (ბელიაშვილი, 2015, გვ. 61). აქვეა ელისეს მინდვრები, რესტორანი „კოლიზეუმი“, ცნობილი კაბარე თავბრუდამხვევი ატრაქციონებით. მწერალი აღწერს ლუვრს და აღნიშნავს, რომ აქ ხელოვნების ისეთი ნიმუშებია, რომლის *„ბადალი არსად არ მოიპოვება“*.

თხზულების შემდეგი, ვრცელი ნაწილი უკვე ამერიკულ შთაბეჭდილებებს ეთმობა. ბელიაშვილი ჩერდება ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობებზე, ის ამერიკით აღტაცებულია. ვაშინგტონს მწერალი *„ძეგლებისა და მუზეუმების ქალაქად“* მოიხსენიებს. აქ მას მოუწავენაა აბრაამ ლინკოლნის, თომას ჯეფერსონისა და გენერალ ლის მუზეუმები და მკითხველს მათზე ძვირფას ინფორმაციას აწვდის. აკაკი ბელიაშვილი იხსენებს დაქირავებული მსახიობის მიერ ლინკოლნის სცენიდან მოკვლის მომენტს და დასძენს: *„თურმე წიწამურს ტრაგედია მარტო ჩვენში არ მომხდარა“*.

საბჭოთა სივრცეში ჩარჩენილი მკითხველისათვის ინფორმაციული იქნებოდა თხზულების ის ნაწილი, სადაც ავტორი თომას ჯეფერსონზე, მის ფილოსოფიასა და მსოფლმხედველობაზე მსჯელობს.

ტექსტში ჩართულია ჯეფერსონის სიტყვები: „ჩვენ მიგვაჩნია თავის- თავად ცხად ჭეშმარიტებად, რომ ყოველი ადამიანი გაჩენილია თანას- წორუფლებიანად, რომ შემოქმედის მიერ მათ მინიჭებული აქვთ გარ- კვეული შეუვალი უფლებები“; „ღმერთმა, რომელმაც მოგვცა სიცოცხ- ლე, მოგვცა თავისუფლებაც“ (ბელიაშვილი, 2015, გვ. 105) და ა.შ.

თხზულებაში მწერალი საუბრობს კაპიტალიზმის შენობაზე, რომ- ლის „გიგანტური გუმბათი მთელს ქალაქზე მბრძანებლობს. მასში მო- თავსებულია სენატი და კონგრესი“. აქვე ბელიაშვილს უხილავს დიდი ტილოები, რომლებზეც აღბეჭდილია აშშ-ს ისტორიის უმთავრესი ეტა- პები. მწერალს დაუთვალა იერებია ცნობილი პრეზიდენტების ქანდაკე- ბები, მსოფლიოში უდიდესი ვაშინგტონის ბიბლიოთეკა და სხვა ცნო- ბილი ღირსშესანიშნაობები.

ტექსტის მიხედვით, ამერიკის დედაქალაქში ერთ-ერთი ქართვე- ლისაგან აკაკი ბელიაშვილმა შეიტყო ინფორმაცია გრიგოლ ზოდელზე – გრიგოლ გამყრელიძეზე, მალე მას შეხვდა, ესაუბრა. შემდეგ – ლოს- ანჯელესი, რომლის გზებმა, სისუფთავემ, გრანდიოზულობამ მწერალი აღაფრთოვანა. ჰოლივუდში აკაკი ბელიაშვილმა ინახულა კინოვარს- კვლავების უბანი, დაათვალიერა მორმონების ტაძარი და მკითხველს მიაწოდა ინფორმაცია ნახევრად წარმართული სექტის წევრებზე – მორმონებზე.

ბელიაშვილი აღფრთოვანებას ვერ მალავს დისნეი-ლენდით, „ერთგვარი საბავშვო კულტურის და დასვენების პარკით, უამრავი ფანტასტიური ატრაქციონით“. თხზულების შემდეგ მონაკვეთში მწე- რალი უკვე ჩიკაგოს ცათამბრჯენების გაუთავებელ მწკრივს მიჰყვება, მას განსაკუთრებით ღამის ჩიკაგო ამახსოვრდება. აკაკი ბელიაშვილი გაცხადებულია 32 გვერდიანი ამერიკული გაზეთით, ნახევარ კილოგ- რამს რომ იწონის.

აშშ-ში მწერალი შეხვდა ნიკოლოზ ქვარიანს, მოჰიდავეს, რომე- ლიც 1920-იან წლებში 18 წლისა ქუთაისის ცირკში გოლიათებს ერკი- ნებოდა. მწერალთან ტელეფონით საუბრისას ქვარიანს უთქვამს, რომ ის ცდილობს, ქართველებისა და შოტლანდიელების ნათესაობა დაამ- ტკიცოს და ამის დასტურად რაჭველებისა და შოტლანდიელთა გუ- დასტვირს მიიჩნევს.

ნიუ-იორკში აკაკი ბელიაშვილი ათვალიერებს უოლ-სტრიტს, გა- ეროს შენობას, ადის „ემპაიერ სტრიტ ბილდინგის“ 102-ე სართულზე, უყურებს ამერიკულ ჭიდაობას, რომელშიც, მისი ქმით, „მთელი სისავ-

სით აღბეჭდილი ამერიკის ნამდვილი სახე: ერთმანეთის ცემა-ტყეპა, მსხვერვა-ლეწა, თმების დაგლეჯა და სხვ.“ (ბელიაშვილი, 2015, გვ. 182).

საგულისხმოა თხზულების ის ნაწილი, სადაც აკაკი ბელიაშვილისა და გიორგი პაპაშვილის შეხვედრაა აღწერილი. სიმონ ქვარიანის მეშვეობით მწერალი დაუკავშირდა საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე აღიარებულ ემიგრანტ ქართველ შემოქმედსა და მის მეუღლეს. „ამ მწერლის შესახებ საქართველოში მთელი ლეგენდები დადის“, - ვკითხულობთ თხზულებაში. ბელიაშვილი დეტალურად გადმოსცემს ამ ლეგენდარულ ცოლ-ქმართან შეხვედრის სცენას: „გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ხმელი აგებულების, შავგვრემანი კაცია. ტიპიური მთიელი. მისი მეუღლე ელენე კი მაღალი, თეთრად ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით“ (ბელიაშვილი, 2015, გვ. 192). ბუნებრივია, საქართველოდან ჩასული შემოქმედი გიორგი პაპაშვილის სამწერლო თავგადასავლით დაინტერესდა. „მე რისი მწერალი ვარ. ჩემი ცოლი სწერამს. მე ვუამბობ ხოლმე და ეგაა მწერალი, მე კი არა. მწერალი კი არა და, კითხვა კი მიჭირს“, - უთქვამს გიორგი პაპაშვილს.

აქვე გადმოცემულია მისივე ნაამბობი, თუ როგორ მოხვდა ის ამერიკაში. 1921 წელს, ქართულ ჯარში სამსახურის დროს, ბათუმში გემზე აუზიდავთ ქართული საგანძური, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოდან გაიტანა და ამ გემს ქართველი ჯარისკაცები სტამბულამდე გაჰყოლიან. აქ ახალგაზრდები ჩამოუსვამთ და ორი წლის განმავლობაში ისინი სტამბულში ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. შემდეგ ერთ ქართველს პაპაშვილისათვის ამერიკაში წასვლა ურჩევია და წერილი გაუტანებია, იქ სამსახურს მოგცემნო. ტანჯვა-წვალებით ამერიკაში ჩასული ემიგრანტი ახალი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა: მან ინგლისური ენა არ იცოდა და სამსახურიც ვერ იშოვა. მრავალი გასაჭირის მიუხედავად, გიორგი პაპაშვილმა საკუთარი ნიჭის წყალობით გზა გაიკვალა და დიდ წარმატებასაც მიაღწია როგორც მწერლობაში, ისე ქანდაკებაში. აკაკი ბელიაშვილი მას მოიხსენიებს, როგორც „გაამერიკელებულ ქართველ ფიროსმანს და იეთიმ-გურჯს, ერთად აღებულს“. ბელიაშვილის მოგონებებში საუბარია პაპაშვილების ცნობილი წიგნზე – „ქვეყანა, სადაც შეიძლება, ყველაფერი მოხდეს“ („Anything Can Happen“), რომელიც, მისი ცნობით, იმ დროისათვის 35-ჯერ ორი მილიონი ტირაჟით გამოსცეს.

ქართველი მწერალი ამერიკული შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებულია, თუმცა შენიშნავს, რომ ხანმოკლე მოგზაურობისას ის იქაური ცხოვრების საიდუმლოებებს ვერ ჩასწვდა. მას მოსწონს ამერიკელთა გულღიაობა და ცხოვრების საქმიანი სტილი: „ყოველი 1000 კაციდან 999 წლებზე ფეხს იდგამს და ისე იძენს თავის ქონებას... ათეული წლების განმავლობაში... ამერიკაში ოღონდ სამუშაო იშოვნონ, და იმას ვინ კითხულობს, სად იქნება იგი“ (ბელიაშვილი, 2015, გვ. 207).

ბუნებრივია, როდესაც საფრანგეთსა და აშშ-ში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს წერდა, აკაკი ბელიაშვილმა კარგად იცოდა, რომ საბჭოთა ცენზურის პირობებში ტექსტის სრული სახით გამოქვეყნება შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა მან არ უღალატა ჭეშმარიტებას, მწერლურ სინდისს, პროფესიონალიზმს და მკითხველს კონიუნქტურისაგან თავისუფალი, მისივე თვალით აღქმული იმდროინდელი საზღვარგარეთული რეალობის ასპექტები წარმოუდგინა.

არსებული მიუღებელი სინამდვილიდან დისტანცირების, შინაგანი ემიგრაციის პირობებში ნიჭიერი, პროფესიონალი ავტორების მიერ შექმნილი მრავალი თხზულება მომავლის მკითხველისათვის იწერება. ამგვარი ტექსტები საუკეთესოდ გამოხატავს ძალადობრივი ტოტალიტარული ეპოქის სულს, ამასთან, ისინი ამ ავტორების თავისუფალი რეფლექსირებისადმი ურყევი ერთგულების დასტურიც გახლავთ. სწორედ ამგვარ ნონკომფორმისტ მოაზროვნეთა ინტელექტუალური მემკვიდრეობა უძლებს დროს და ამკვიდრებს მარადიულ ღირებულებებს. ვფიქრობთ, მსგავსი თხზულებები მომავალშიც გამოვლინდება და მკითხველს მათი ავტორების შინაგანი მრწამსისადმი ერთგულების, მათი მოქალაქეობრივი გმირობის ამბავსაც მოუთხრობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არველაძე, ს. (1973). ლიტერატურული წერილები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბელიაშვილი, ა. (2015). ამერიკაში პარიზზე გავლით. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა.
- ბრეგაძე, კ. (2020). ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია. ჟურნალი „სემიოტიკა“. 14.05.
- გიორგაშვილი, მ. (2019). ოტია პაჭკორია. წიგნში: ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ). თბილისი: „მწიგნობარი“.

- ვასაძე, თ. (2010). ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- კვერენჩილაძე, რ. (2017). წამების გზა. წიგნი 2. თბილისი: „უნივერსალი“.
- კუპრეიშვილი, ნ. (2013). სიტყვის დეგუსტაცია. თბილისი: „საუნჯე“.
- ნაროუშვილი, ფ. (1931). პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია. ტფილისი: „ახალგაზრდა კომუნისტი“.
- პაჭკორია, ო. (2015). ნაწარმოებები 4 ტომად. ტ. 4. ჩანაწერები. პირადი წერილები. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა.
- ჟღენტი, ბ. (1976). მწერლობა და თანამედროვეობა. რჩეული ლიტერატურული წერილები. წ. 1. თბილისი: „მერანი“.
- რატიანი, ი. (2018). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- რობაქიძე, გრ. (2012). წერილები სტეფან ცვაიგს (გერმანულიდან თარგმნა ნათია ფურცელაძემ). თბილისი: „არტანუჯი“.
- ქიქოძე, გ. (2003). თანამედროვე ჩანაწერები. თბილისი: „არეტე“.
- ჩხეიძე, რ. (2024). ხვედრი (ცენზურა და მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა). თბილისი: „ჩვენი მწერლობა“.

References:

- Arveladze, S. (1973). Li'terat'uruli Ts'erilebi. [Assays]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- Beliashvili, A. (2015). Amerik'ashi P'arizze gavlit. [To America via Paris]. Tbilisi: Lit'erat'uris muzeumis gamomtsemloba.
- Bregadze, K'. (2020). Hana Arendt'is t'ot'alit'arizmis teoria. [Totalitarian Theory of Hannah Arendt]. Zhurnali "Semiotika". 15.05.
- Chkheidze, R. (2024). Khvedri. (Tsenzura da meotse sauk'unis kartuli mts'erloba). [Fate (Censorship and 20th-Century Georgian literature)]. Tbilisi: "Chveni mts'erloba".
- Giorgashvili, M. (2019). Ot'ia P'ach'koria. [Otia Pachkoria]. Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura meore msoplio omis dats'q'ebidan SK'K'P' me-20 q'rilobamde (1941-1956). Tbilisi: "Mts'ignobari".
- Kikodze, G. (2003). Tanamedrovis chanats'erebi. [Notes of a contemporary]. Tbilisi: "Aret'e".
- K'upreishvili, N. (2013). Sit'q'vis degust'atsia. [Tasting of words]. Tbilisi: "Saunje".
- K'verenchkhiladze, R. (2017). Ts'amebis gza. [Ways of Torture]. Ts'.2, Tbilisi: "Universali".
- Naroushvili, P. (1931). P'olit'ik'uri p'oet'is dek'laratsia. [Declaration of a Political Poet]. Tbilisi: "Akhalgazrda k'omunist'i".

- P'ach'koria, O. (2015). Nats'armoebebi 4 t'omad.[Literary works in 4 volumes]. T'.
4. Chanats'erebi. P'iradi ts'erilebi. Tbilisi: Lit'erat'uris muzeumis
gamomtsemloba.
- Rat'iani, I. (2018). Kartuli mts'erloba da msoplio lit'eraturuli p'rotsesi. [Georgian
Literature and World Literary Process]. Tbilisi: Tsu gamomtsemloba.
- Robakidze, G. (2012). Ts'erilebi St'epan Tsvaigs. [Letters to Stefan Zweig].
Germanulidan targmna Natia Purtseladzem.Tbilisi: "Artanuji".
- Vasadze, T. (2010). Li'terat'ura ch'eshmarit'ebis dziebashi. [Literature in Search of
Truth]. Tbilisi: Lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- Zhgenti, B. (1976). Mts'erloba da tanamedroveoba. [Literature and Modernity].
Rcheuli lit'erat'uruli ts'erilebi. Ts'. 1, Tbilisi: "Merani".